

ხელშეკრულება #  
ინტერნეტ-მომსახურების შესახებ

ქ.თბილისი

----- 2018 წ.

შპს „მიკრონეტ“ („მიმწოდებელი“), ს/კ 204557960, იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, თელავის ქ.20გ./ფაქტობრივი მისამართი: ქ.თბილისი, ცოტნე დადიანის 265-267, 1 სართული, ოფისი #1, წარმოდგენილი დირექტორის დავით სიხარულიძის სახით, ერთის მხრივ და შპს -----, ს/კ -----, მის: ----- („მომხმარებელი“) წარმოდგენილი დირექტორის ----- სახით, მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ ზე:

**1. ტერმინთა განმარტება**

- 1.1. „მიმწოდებელი“ - ინტერნეტ-მომსახურების გამცემი იურიდიული პირი;
- 1.2. „მომხმარებელი“ - ინტერნეტ-მომსახურების მიმღები იურიდიული პირი, შემდგომში აბონენტი;
- 1.3. „ინტერნეტ-მომსახურება“ - საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს ინტერნეტთან წვდომას და ამგვარად, გამოყენებული ქსელის ტექნოლოგიის ტერმინალური მოწყობილობის მიუხედავად, იძლევა ინტერნეტის ფაქტობრივად ყველა წერტილთან დაშვების შესაძლებლობას, შემდგომში მომსახურება;

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „მიმწოდებლის“ მიერ „მომხმარებლისთვის“ ----- (მისამართი) 24 საათის განმავლობაში, კვირაში 7 დღე ინტერნეტ-მომსახურების მიწოდება (მომსახურების ხელმისაწვდომობა), მოცემული პირობების შესაბამისად:

პაკეტი - უკაბელო სტანდარტი;

საშუალო დილეი 100 მს;

მინიმალური სიჩქარე 2 მბ/წ;

ფაქტობრივად ხელმისაწვდომი სიჩქარე 4 მბ/წ;

მაქსიმალური სიჩქარე 5 მბ/წ;

პაკეტების დანაკარგი <3 %;

ჯიტერი 100მს;

დაყოვნება <200 მლ/წმ.

პირველადი ჩართვის ვადა შეადგენს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 სამუშაო დღეს.

**3. მომსახურების პირობები და წესები**

3.1. მომსახურების პირობები:

3.1.1. მომსახურების ჩასართავად მიმწოდებელი აბონენტს, ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, გამოუყოფს საიდენტიფიკაციო კოდს/აბონენტის ნომერს და სარგებლობის უფლებით გადასცემს სპეციალურ მოწყობილობას. მომსახურების აპარატურის აბონენტისათვის გადაცემა და დაბრუნება წარმოებს მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების დოკუმენტის გაფორმებით.

3.1.2. აბონენტისთვის მომსახურების ჩართვა/გაწევა ხორციელდება მიმწოდებლის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. მომსახურების პირობები იხილეთ მიკრონეტ-ის ვებ. გვერდზე ([www.micronet.ge](http://www.micronet.ge)).

3.1.3. აბონენტის მიერ მომსახურების მიღება ხორციელდება, მიმწოდებლის მიერ დადგენილ ვადაში, სააბონენტო გადასახდელის და მომსახურების საფასურის გადახდის შემთხვევაში.

3.2. მომსახურებით სარგებლობის წესები:

3.2.1. მომსახურების სარგებლობისას აკრძალულია რეკლამის, ინფორმაციის ან სხვა მასალების მასიური გადაცემა ინტერნეტის სხვა მომხმარებელთათვის ასეთი მასალების ადრესატების თანხმობის გარეშე, როგორც ელექტრონული მისამართების, ისე საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ელექტრონული გადაცემების მეშვეობით და კონფერენციების მეშვეობით, რომლებიც არ არის განკუთვნილი ამ მიზნისთვის;

ტექნოლოგიურ კომპონენტებში (აგრეგატებში), პროგრამებში, მონაცემთა ბაზებში და ინტერნეტის სხვა კომპონენტებში არასანქცირებული შეღწევა.

3.2.2. ინტერნეტ მომსახურებით სარგებლობის განსაკუთრებული პირობები: მიმწოდებელი არ არის ვალდებული აბონენტის ქმედებით გამოწვეული დაზიანებისას ან/და აბონენტის ინიციატივით ობიექტუ

რაიმე ცვლილების შემთხვევაში შეაკეთოს ან გადააკეთოს მის სარგებლობაში/მფლობელობაში არსებული შიდა ქსელი. ტექნიკური ჯგუფის თანამშრომლის გამოძახების შემთხვევაში, დაზიანების შეკეთება ჩაითვლება ფასიან სერვისად და საფასური განისაზღვრება ინდივიდუალურად, დაზიანებიდან გამომდინარე, ყოველი გამოძახებისას დასახარჯი მასალის ღირებულების გამოანგარიშებით.

## **5. ინტერნეტ-მომსახურების ხარისხი**

5.1. ინტერნეტ-მომსახურება ხელმისაწვდომია დღე-ღამის 24 საათის განმავლობაში, უწყვეტად გარდა გადაუდებელი სარემონტო, პროფილაქტიკური სამუშაოების მიმდინარეობისა და შეესაბამება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილ ტექნიკურ ნორმებს, სტანდარტებს და მიმწოდებლის ლიცენზიის პირობებს, ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, 5.2, 5.3, 5.4 და 5.5 პუნქტებით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევების გათვალისწინებით.

5.2. მომსახურების შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველყოფა და ხარისხის დაცვა ქსელის აგებულების თავისებურებიდან გამომდინარე შეიძლება იყოს მიმწოდებლის კონტროლისა და შესაძლებლობის მიღმა. ნებისმიერი შეფერხება რომელიც გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით ან/და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი სხვა კომპანიების ქსელის გაუმართაობით, აღნიშნული შესაძლოა სცილდებოდეს ინტერნეტ-პროვაიდერისა და ოპერატორის ტექნიკურ შესაძლებლობებს, თუმცა მიმწოდებელი პასუხისმგებელია მომსახურების ხარისხზე და შეფერხების აღმოფხვრაზე.

5.3. მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი მომსახურების შეფერხებების ან ნაკლოვანებებისათვის, იმ შემთხვევაში თუ მომხმარებლის ქსელში ფიქსირდება ხარვეზი, მომხმარებლის ანტენა არის შეზღუდული სხვა მხარეს, რაც საჭიროებს ლოკალურად პრობლემის იდენტიფიცირებას და მისი აღმოფხვრის დროის დადგენას.

5.4. მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი მომსახურების შეფერხებების ან ნაკლოვანებებისათვის, იმ შემთხვევაში თუ მომსახურების მისაღებად მომხმარებელი იყენებს გაუმართავ, დაზიანებულ ან დადგენილ ნორმებთან შეუსაბამო მოწყობილობას.

5.5. მიმწოდებელი უზრუნველყოფს მომსახურებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სიჩქარის ფარგლებში და შეთავაზებული მომსახურების ადეკვატურობას მიღებულ მომსახურებასთან. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასა და მიღებულ მომსახურებას შორის შეუსაბამობის წარმოშობის შემთხვევაში, მიმწოდებელი უზრუნველყოფს შესაბამისი ზომების მიღებას შეუსაბამობის დროული, ჯეროვანი და სრული აღკვეთის მიზნით.

## **6. მომსახურების საფასური, გადახდის პირობები**

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ჩართვის, ერთჯერადი ინსტალაციის საფასური, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შეადგენს ----- ლარს, დღგ-ს ჩათვლით, რომლის გადახდაც აბონენტმა უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ყოველთვიური ღირებულება (სააბონენტო გადასახადი) შეადგენს ----- ლარს, დღგ-ს ჩათვლით, რომლის გადახდაც აბონენტმა უნდა განახორციელოს გაწეული მომსახურების შესაბამისად, სრული მოცულობით, არაუგვიანეს საანგარიშო თვის დასრულებისა.

6.3. ანგარიშსწორება ხორციელდება ლარში, უნაღლო ანგარიშსწორების სახით.

## **7. მომსახურების მიწოდების შეზღუდვისა და შეწყვეტის პირობები**

7.1. მიმწოდებლის მიერ ინტერნეტ მომსახურების შეზღუდვა გულისხმობს, რომ მომსახურების შეზღუდვის სრული პერიოდის განმავლობაში აბონენტს არ მიეწოდება შესაბამისი მომსახურება. მიმწოდებლის მიერ მომსახურების შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს შემდეგ შემთხვევებში:

7.1.1. სააბონენტო გადასახდელისა და მიღებული მომსახურების საფასურის (ნებისმიერი სხვა დავალიანების) ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ( 6.1, 6.2 პუნქტები) გადაუხდელობისას;

7.1.2. მომსახურების მიმწოდებლის მოწყობილობის დაზიანებისას;

7.1.3. მომხმარებლის მიერ ტექნიკური მოწყობილობის დემარკაციის წერტილთან კომპანიის წარმომადგენლის დაუშვებლობისას;

7.1.4. აბონენტი იყენებს ან ცდილობს გამოიყენოს სატელეკომუნიკაციო საშუალებები არაკანონიერი მიზნებისათვის ან არაკანონიერი გზით მიიღოს მომსახურება;

7.1.5. მომსახურების მიწოდება შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორს-მაჟორული გარემოებების გამო.

7.1.6. მომსახურების მიწოდება დროებით შეიზღუდება ან სრულად შეწყდება იმ შემთხვევაში, თუ სააბონენტო მოწყობილობით სარგებლობისას აბონენტი ზიანს აყენებს მიმწოდებელს, სხვა აბონენტებს ან მესამე პირებს. დროებით სარგებლობაში გადაცემული მოწყობილობის გამოყენებით ხდება ქსელში უნებართვო ჩართვა, მომსახურების გადაყიდვა, მომსახურების მიღება ხორციელდება მესამე პირთა პირადი ცხოვრების ან მათი სიმშვიდის შემლახავი, მუქარის შემცველი, მათთვის მატერიალური ზიანის მიმყენებელი, ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი ან სხვა ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისათვის ან სპამის ორგანიზებისთვის. მომსახურებით სარგებლობისას აწარმოებს დაუშვებელი პროდუქციის, კომპიუტერული ვირუსის, თაღლითური ან მავნე პროგრამების გავრცელებას ან გადამისამართებას ან ახორციელებს სხვა, მათ შორის მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, მოგების მიღების მიზნით ან აბონენტი სხვაგვარად არღვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში მომსახურების მიწოდება სრულად ან ნაწილობრივ შეიზღუდება ზემოაღნიშნული ქმედების ეფექტურად და დროულად აღსაკვეთად, მაგრამ არაუმეტეს 15 დღისა.

7.2. ზემოთ მითითებული ნებისმიერი მიზეზით, ინტერნეტ მომსახურების შეზღუდვამდე მიმწოდებელი 2 სამუშაო დღით ადრე ატყობინებს აბონენტს (უგზავნის ხელშეკრულებაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე/მეილზე წერილობით შეტყობინებას, ან უკავშირდება ზეპირად ტელეფონით) მომსახურების მოსალოდნელი შეზღუდვის თაობაზე. ამ პუნქტში განსაზღვრული შეტყობინების არ გაგზავნის მიუხედავად, აბონენტი არ თავისუფლდება მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან.

7.3. მიმწოდებლის მიერ მომსახურების შეზღუდვის პერიოდში მომსახურების განახლება შესაძლებელია განხორციელდეს სააბონენტო გადასახდელისა და ნებისმიერი სხვა დავალიანების გადახდის, ან მომსახურების შეზღუდვის სხვა საფუძვლის აღმოფხვრისას, მაგრამ არა უგვიანეს მეორე დღის დასრულებამდე.

7.4. მიმწოდებლის მიერ ინტერნეტ მომსახურების შეწყვეტა შეიძლება განხორციელდეს შემდეგ შემთხვევებში:

7.4.1. აბონენტი არ ფარავს მომსახურების საფასურს, სხვა დავალიანებას ან არ არის აღმოფხვრილი მომსახურების შეზღუდვის სხვა საფუძვლები, შეზღუდვის თარიღიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში. ამ შემთხვევაში მომსახურების შეწყვეტის თაობაზე აბონენტს ეცნობება ხელშეკრულებაში მითითებულ საკონტაქტო ნომერზე/მეილზე გაგზავნილი შეტყობინებით. აღნიშნული შეტყობინების გაგზავნამდე იგულისხმება, რომ მომსახურების მიწოდება შეწყვეტილია, თუმცა აბონენტის ინტერესების დაცვის მიზნით, მანამ სანამ მიმწოდებლის მიერ არსებული რესურსი იძლევა საშუალებას და მანამ სანამ აბონენტი არ დააბრუნებს მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ აპარატურას ხელშეკრულება რჩება ძალაში, აბონენტის მიერ მომსახურებით სარგებლობის შესაძლო აღდგენის მიზნებისათვის.

7.4.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს შეკვეთილი მომსახურება იმ შემთხვევაშიც, თუ შეუძლებელი ხდება შეკვეთილი მომსახურების მიწოდება ობიექტური მიზეზების გამო, მაგალითად ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელის მნიშვნელოვანი დაზიანება, შესაბამისი ტექნიკური საშუალებების განადგურება/არქონა, ლიცენზიის, ნებართვის, ავტორიზაციის გაუქმება/შეჩერება, კონკრეტული მომსახურების მიწოდების სრულად შეწყვეტა ან მისი არსებითი მოდიფიცირება და სხვა.

7.5. აბონენტის მიერ მომსახურების შეწყვეტა შესაძლებელია ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის დაცვით, დავალიანების სრულად დაფარვის და დროებით სარგებლობაში გადაცემული აპარატურის (ასეთი არსებობის შემთხვევაში) დაბრუნების შემდეგ. მომსახურების შეწყვეტის ფაქტი არ ათავისუფლებს აბონენტს შეწყვეტის თარიღისათვის მიმწოდებლის მიმართ დაგროვილი და გადაუხდელი დავალიანების გადახდის ვალდებულებისაგან.

## **8. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

### **8.1. აბონენტის უფლება-მოვალეობები:**

8.1.1. აბონენტი უფლებამოსილია ისარგებლოს ინტერნეტ მომსახურებით დღე-ღამის ნებისმიერ დროს, 24 საათის განმავლობაში და გამოიყენოს იგი ნებისმიერი მიზნებისათვის, გარდა მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით აკრძალულისა;

8.1.2. აბონენტი უფლებამოსილია „მიკრონეტის“ 24 საათიანი ცხელი ხაზისგან (ტელ: 2 19 49 49, პერსონალური მენეჯერის ტელ: 595 68 22 22) მიიღოს სატელეფონო კონსულტაციები ინტერნეტ მომსახურებასთან დაკავშირებით;

8.1.3. აბონენტი უფლებამოსილია მოითხოვოს მომსახურების საფასურის გადაანგარიშება, თუ „მიკრონეტ“-ის მიერ მომსახურების მიწოდება ხორციელდება შეფერხებით ან საერთოდ არ მიეწოდება და ერთი კალენდარული დღის განმავლობაში იგი აღემატება 3 საათს;

8.1.4. აბონენტი უფლებამოსილია მიმართოს „მიკრონეტ“-ს განცხადებითა და საჩივრით მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურების შესახებ;

8.1.5. აბონენტი ვალდებულია დროულად დაფაროს მიკრონეტ-ის მიერ გაწეული მომსახურების გადასახადი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.1.6. აბონენტი ვალდებულია უზრუნველყოს ნებისმიერ დროს „მიკრონეტ“-ის წარმომადგენლის დაშვება თავის ტერიტორიაზე ქსელში ჩართვის სამუშაოების ჩასატარებლად, აპარატურის შესამოწმებლად თუ საინსტალაციო სამუშაოების ჩასატარებლად, მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად;

8.1.7. აბონენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მიმწოდებელს ზეპირად და წერილობით 5 სამუშაო დღის ვადაში, მისი გადახდისუუნარობის, რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საქმის წარმოების დაწყების ან იმ სხვა გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შესაძლოა შეაფერხოს ან შეუძებელი გახადოს აბონენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება;

8.1.8. აბონენტის მიზეზით მომხდარი ნებისმიერი დაზიანება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მიმწოდებლის მიერ აბონენტისთვის მომსახურების მიწოდების შეფერხება, არ ათავისუფლებს აბონენტს მომსახურების ღირებულების გადახდისაგან;

## **8.2. მიმწოდებლის უფლება-მოვალეობები:**

8.2.1. მიმწოდებელს უფლებამოსილია მოსთხოვოს მომხმარებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა და ნებისმიერი ვალდებულების შესრულება და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმწოდებლის უფლებების რეალიზაციისთვის ხელშეწყობა.

8.2.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, მომსახურების ფორმა, ტარიფები, პაკეტები, რის შესახებაც ვალდებულია შეატყობინოს აბონენტს არაუგვიანეს 10 (სამუშაო) დღისა ცვლილებების განხორციელებამდე. აბონენტის შეტყობინება ხორციელდება წერილობითი ფორმით ან/და საკუთარ ვებ-გვერდზე ([www.micronet.ge](http://www.micronet.ge)) განათავსოს ინფორმაცია.

8.2.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია ლარის კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, შეცვალოს მომსახურების ღირებულება და აღნიშნულის შესახებ 10 (სამუშაო) დღით ადრე წერილობით შეატყობინოს აბონენტს მისთვის ხელმისაწვდომი გზით, ან/და საკუთარ ვებ გვერდზე ([www.micronet.ge](http://www.micronet.ge)) გამოაქვეყნოს ინფორმაცია;

8.2.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია ჩაატაროს საკუთარ ქსელში გადაუდებელი სარემონტო თუ პროფილაქტიკური სამუშაოები, რომელსაც შესაძლებელია მოჰყვეს მომსახურების შეჩერება, შეზღუდვა, გაუარესება ან შეფერხებები და რომელიც ემსახურება მომსახურების ხარისხის შენარჩუნებას ან გაუმჯობესებას ან ახალი ტექნოლოგიის დანერგვას ან გამიზნულია ქსელის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აღნიშნულის შესახებ მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს აბონენტს წერილობითი ფორმით ან/და საკუთარ ვებ გვერდზე ([www.micronet.ge](http://www.micronet.ge)) გამოაქვეყნოს ინფორმაცია;

8.2.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოახდინოს აბონენტის მიერ ცალკეული მომსახურების სახეებთან, საინფორმაციო რესურსებთან, ინტერნეტ-მისამართებთან, განსაზღვრულ ქსელებთან, სერვერებთან წვდომისა და სარგებლობის შეჩერება, შეზღუდვა ან მოახდინოს ინტერნეტ-მისამართების დომენების ბლოკირება, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად;

8.2.6. მიმწოდებელი უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გააკეთოს სპეციალური შეთავაზებები, განსხვავებული პირობებით, რაზეც მხარეები დამატებით შეთანხმდებიან წერილობით;

8.2.7. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს აბონენტს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, ხელშეკრულებაში მითითებული პირობების დაცვით;

8.2.8. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე, შეამოწმოს შეწყვეტისა და შეფერხების მიზეზები და შესაძლებლად უმოკლეს ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია აბონენტს. დაზიანების არსებობის შემთხვევაში, აღმოფხვრას მომსახურებაში არსებული შეფერხებები ან მომსახურების შეწყვეტის მიზეზები და აღადგინოს ქსელის ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირება გონივრულ ვადებში, ტექნიკური შესაძლებლობების და მის ხელთარსებული რესურსების ფარგლებში, მაგრამ არაუგვიანეს 1 სამუშაო დღისა ან კანონმდებლობით დადგენილ ვადებში თუ ასეთი ვადები დადგენილია.

8.2.9. მიმწოდებელი არ არის ვალდებული აბონენტის ან ნებისმიერი მესამე პირის ქმედებით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში შეაკეთოს მის სარგებლობაში არსებული შიდა ქსელი. დაზიანების შეკეთება ჩაითვლება ფასიან სერვისად და საფასური განისაზღვრება ინდივიდუალურად, დაზიანებიდან გამომდინარე.

## **9. მხარეთა პასუხისმგებლობა**

9.1. მიმწოდებელი პასუხს არ აგებს იმ ზარალისთვის, რაც აბონენტს შეიძლება მიადგეს აბონენტის კომპიუტერში ნებისმიერი მესამე პირის მიერ უკანონოდ შეღწევის შედეგად, ვინაიდან მიმწოდებლის

ვალდებულება შემოიფარგლება მხოლოდ მონაცემების გადაცემით, ინფორმაციის გატარების უზრუნველყოფით და თავად აბონენტის პასუხისმგებელი მისი კუთვლიანი საინფორმაციო სისტემის დაცვაზე მესამე პირის მიერ აღნიშნული სისტემის არალეგალური ხელყოფისგან.

9.2. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას აუნაზღაუროს აბონენტს ის ზიანი, რომელიც მას მიადგა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად. რომელიც დადასტურებულია და გამოწვეულია მიმწოდებლის ბრალეულობით, მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. აუნაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მიმწოდებლისთვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. მიმწოდებლის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება და განისაზღვრება შემდეგნაირად:

9.2.1. პირველადი ჩართვის ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებლის მიერ დაწესებული ერთჯერადი ინსტალაციის ღირებულების საფასურის 1% ოდენობის საურავით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

9.2.2. მომსახურების მიწოდების შეფერხების, მიუწოდებლობის ან უხარისხოდ მიწოდების შემთხვევაში, რომელიც გამოიხატება აბონენტის მიერ მომსახურებით სარგებლობის შეუძლებლობაში, ყოველი ერთი საათის განმავლობაში მოიუღებელი მომსახურების ღირებულების 1% ოდენობის კომპენსაცია ყოველ ვადაგადაცილებულ საათზე, 8.2.8. პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდგომ;

9.2.3. სხვა დანარჩენი მომსახურების მიწოდების შეფერხების ან უხარისხოდ მიწოდების შემთხვევაში, დამატებითი აუნაზღაურების გარეშე, მომსახურების საფასურის პროპორციული შემცირებით;

9.2.4. 9.2.1, 9.2.2, 9.2.3 პუნქტების შემთხვევაში მომსახურების მიწოდების შეფერხების, მიუწოდებლობის ან უხარისხოდ მიწოდების ფაქტი აბონენტის მხრიდან უნდა იყოს მიმწოდებლისთვის ცნობილი და დოკუმენტალურად დადასტურებული.

9.3. აბონენტი კისრულობს პასუხისმგებლობას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ზიანი, რომელიც შეიძლება მიადგეს მიმწოდებელს აბონენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად. აბონენტის პასუხისმგებლობა მიმწოდებლის წინაშე განისაზღვრება შემდეგნაირად:

9.3.1. მომსახურების საფასურის გადახდის დაგვიანებისთვის, არასრული ან არადროული გადახდის შემთხვევაში, გადაუხდელი თანხის 10% ოდენობის ჯარიმით;

9.3.2. აბონენტისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული მოწყობილობების დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტის დღიდან ჯარიმის ოდენობა განისაზღვროს 5 ლარით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

9.3.3. ხელშეკრულების 7.1.6 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გადაყიდვის ფაქტის დადგომის შემთხვევაში, აბონენტი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაიხადოს ჯარიმა 500 ლარის ოდენობით;

9.3.4. სხვა დანარჩენი ვალდებულებების არ ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევებში მიმწოდებლისთვის პირდაპირი ზიანის აუნაზღაურებით;

9.4. არცერთი მხარე არ არის პასუხისმგებელი მეორეს წინაშე არაპირდაპირი ზიანისათვის, მათ შორის საქმიანობის შეჩერების, მონაცემთა დაკარგვის, მიუღებელი სარგებლის ან ნაყოფის ან სხვა არაპირდაპირი დანაკარგისთვის ან მათი შედეგებისთვის.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ მათ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება გამოწვეულია მათთვის დაუძლეველი გარემოებების არსებობის გამო, რაც მოიცავს (მაგრამ არ იზღუდება): სტიქიური უბედურებები (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა), გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა, ეპიდემიები, ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო; ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.

10.2. მხარეები თანხმდებიან რომ საქართველოში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ფორს-მაჟორულ მოვლენასთან გათანაბრებულია მესამე პირთა ბრალეული ან/და არაბრალეული ქმედებანი, რომლებიც შეუძლებელს ხდიან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში იგულისხმება ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული სიტუაცია, ენერგეტიკული, ეკონომიკური კრიზისი და პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე სხვა გარემოებები.

10.3. მხარეები ფორს-მაჟორულ მოვლენად მიიჩნევენ მიმწოდებლის პარტნიორების მიერ მიმწოდებლისთვის ინტერნეტ მომსახურების შეწყვეტას.

10.4. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ. ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ელ. ფოსტა, კურიერი და სხვა).

10.5. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა, თუ მხარეთა შორის არ იქნება მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

11.2. ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ნებისმიერ დროს :

11.2.1. მხარეთა შეთანხმებით;

11.2.2. აბონენტის ინიციატივით, ერთი თვით ადრე შეტყობინების გაგზავნის გზით; შეტყობინებად ჩაითვლება წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, ელ.ფოსტაზე ან ტელეფონის ნომერზე სმს შეტყობინების გაგზავნით;

11.2.3. მიმწოდებლის ინიციატივით აბონენტის მიერ მომსახურების შეზღუდვის საფუძვლის 45 დღეში აღმოუფხვრელობის შემდეგ ცალმხრივად, ან ხელშეკრულების 8.1.7 პუნქტში აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

11.2.4. ნებისმიერი მხარის მიერ ცალმხრივად, თუ მეორე მხარის მიერ დარღვეულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. დარღვევის აღმოჩენი მხარე წერილობით აცნობებს დამრღვევს აღნიშნულის შესახებ და განუსაზღვრავს ერთთვიან ვადას დარღვის აღმოსაფხვრელად. დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ხელშეკრულება ითვლება ცალმხრივად შეწყვეტილად;

11.2.5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.

11.3. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ნიშნავს არსებული დავალიანების გადახდის ვალდებულების შეწყვეტას. აბონენტი ვალდებულია მიმწოდებელს გადაუხადოს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დაგროვილი დავალიანება.

## 12. პრეტენზიის წარდგენის წესი და დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა დავას, უთანხმოებას, პრეტენზიას მხარეები წყვეტენ ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, აბონენტს შეუძლია ერთჯერადად მიმართოს მიკრონეტ-ის აბონენტთა პრეტენზიების განხილველ სამსახურს.

2.2. აბონენტი უფლებამოსილია მომსახურების ხარისხთან, ნებისმიერ ხარვეზთან დაკავშირებით პრეტენზიით/საჩივრით (*ზეპირი ფორმით ცხელ ხაზზე 2 19 49 49, წერილობითი ფორმით მიკრონეტის ადმინისტრაციული ოფისის მისამართზე: თბილისი, ცოტნე დადიანის გამზ. #265-267, სართული 1, ოფისი #1, ან ელ.ფოსტაზე: [legal@micronet.ge](mailto:legal@micronet.ge)*) მიმართოს მიმწოდებელს. წერილობითი საჩივარი/პრეტენზია შედგენილ უნდა იქნეს განცხადების ფორმით. საჩივარში/პრეტენზიაში აბონენტმა უნდა მიუთითოს ვინაობა, საკონტაქტო ინფორმაცია, მისამართი, სრულყოფილად აღწეროს თუ რა მიაჩნია მიმწოდებლის მხრიდან არასწორ ან არასამართლიან ქმედებად, მისი მოთხოვნა და გარემოებები, რომელსაც მოთხოვნა ეფუძნება. აბონენტის მიერ წარდგენილი საჩივარი/პრეტენზია მიკრონეტ-ის მიერ განხილულ იქნება 15 დღის ვადაში.

12.3. მხარეთა შორის დავის წარმოშობისას, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ დროს აბონენტს უფლება აქვს მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან საქართველოს სასამართლოებს. ამასთან მომხმარებელი უფლებამოსილია მიმართოს კომისიას საჩივრით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული, ინტერნეტ-მომსახურების შეუსაბამო ხარისხის თაობაზე, „ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების ხარისხის განსაზღვრისა და შემოწმების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 10 მაისის N4 დადგენილების შესაბამისად.

12.4. მხარეთა შეთანხმებით წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია მიმწოდებლის იურიდიული მისამართი. შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან და აღიარებენ, რომ ხელშეკრულების საფუძველზე დავის წარმოშობის/არსებობის შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წარმოადგენს დავის განხილველ განსჯად სასამართლოს.

### 13. სხვა პირობები

13.1. ყველა ის შემთხვევა და გარემოება რომელიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ინტერნეტმომსახურების მიწოდების ხარისხის განსაზღვრისა და შემოწმების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 10 მაისის N4 დადგენილება.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალმემკვიდრეთათვის, თუ ხელშეკრულების ან მისი პუნქტების/ქვეპუნქტების შინაარსის გათვალისწინებით კანონმდებლობა სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

13.3. წინამდებარე ხელშეკრულება მოიცავს მხარეთა შორის არსებულ ყველა წინასწარშეთანხმებას და შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალასკარგავს მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული და წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მიმოწერა და ზეპირი შეთანხმება.

13.4. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორება, იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მისი წერილობითი ფორმით შესრულების და მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ქართულ ენაზე, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13.5. მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას. ამ შემთხვევაში მხარეები შეეცდებიან მოქმედ კანონმდებლობას შეუსაბამონ ან ბათილი დებულება შეცვალონ კანონმდებლობასთან შესაბამისი დებულებით.

13.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

13.7. წინამდებარე ხელშეკრულება ხელმისაწვდომია მიკრონეტ-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.micronet.ge](http://www.micronet.ge)).

### 14. მხარეთა რეკვიზიტები

#### 14.1. მიმწოდებელი:

დასახელება: შპს მიკრონეტ

ს/კ: 204557960

მის: ფაქტ. ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის 265-267, სართული 1, ოფისი #1

ტელ: 032 2 19 49 49

სს „ვითიბი ბანკი“ UGEBGE22

ანგ. # GE79VT110000000093607

დირექტორი: დავით სიხარულიძე

ხელმოწერა:

#### 14.2. აბონენტი:

დასახელება:

ს/კ:

მის:

ტელ:

ანგ.

დირექტორი:  
ხელმოწერა: